სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

21066875706313

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130228787

რეგისტრაციის თარიღი

12.03.2013 წ

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის თორმეტ მარტს მე, ნოტარიუს **ნანა ბაკურაძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში**, მომმართეს **მზია მაისურაძემ** და **ნაირა ზარიძემ, როგორც ციალა ზარიძის რწმუნებულმა პირმა (თანახმად რწმუნებულებისა რეესტრში რეგისტრაციის №110070218, დამოწმებული ნოტარიუს ქეთევან ძლიერიშვილის მიერ 27.01.2011წ.)** .. მათ მოითხოვეს რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დაერწმუნდი, რომ ნამდვილად **მზია მაისურაძემ** (დაბადებული 01.04.1948წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ბერბუთის ქ. №5, პ/მ №ა 0924753, პირადი №01024063912, გაც. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 10.04.2006წ.) და **ნაირა ზარიძემ** (დაბადებული 23.02.1960წ. გურჯაანში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ბერბუკის ქ. №5ა, პ/მ №ა 0966921, პირადი №01026012732, გაც. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 08.08.2006წ.) მომმართეს. მე შევამოწმე **მზია მაისურაძის და ნაირა ზარიძის** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დაერწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, მზია **მაისურაძემ და ნაირა ზარიძემ, როგორც ციალა ზარიძის რწმუნებულმა პირმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე რწმუნებულებას.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათას ცამეტი წლის თორმეტ მარტს **მზია მაისურაძემ** (დაბადებული 01.04.1948წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ბერბუთის ქ. №5, პ/მ №ა 0924753, პირადი №01024063912, გაც. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 10.04.2006წ.) და ნაირა ზარიძემ (დაბადებული 23.02.1960წ. გურჯაანში, რეგისტრირებული მისამართზე თბილისი, ბერბუკის ქ. №5ა, პ/მ №ა 0966921, პირადი №01026012732, გაც. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ 08.08.2006წ.) რომლებიც შემდეგში მოხსენიებულნი არიან, როგორც "მარწმუნებლები" **არჩილ თაბაგარს** (დაბ. 20.09.1980წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №35/37, ბინა 34, პირადი №35001019874) და **ირაკლი ჩხიკვაძეს** (დაბ. 10.08.1987წ. მცხოვრები მისამართზე თბილისი ძმ. ზუბალაშვილების ქ. №7, ბარათის №111D68562, პირადი: პირადი №01017027889) – რომლებიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც "რწმუნებულები" ცალკ-ცალკე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიანიჭეს შემდეგში უფლებამოსილება:

1. რწმუნებულები იცავენ მარწმუნებლები ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს; ამ მიზნით რწმუნებულები მარწმუნებლებს წარმოადგენენ ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ს.რ.ს არქივებში, საჯარო რეესტრში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, გამოძიებაში, მოკვლევაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებენ შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან მარწმუნებლების სახელით შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება, პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლების სახელით შეიტანონ ყველა სახის განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, ნებისმიერი დოკუმენტი ნებისმიერი დაწესებულებიდან, გადაიხადონ და/ან მიიღონ სახელმწიფო ბაჟი, გააკეთონ ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, მოახდინონ აღსრულება, მორიგება, მოხსნან ყადაღა უძრავ ქონებაზე, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში,

შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობით ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები, მოსაზრებები, (უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები) ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, შეცვალონ სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, სცნოს სარჩელი, დაამთავრონ საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინონ სააპელაციო, საკასაციო საჩივარი, სააღსრულებლო ფურცელი აღსასრულებლად, მონაწილეობა მიიღონ აღსრულებაში.

3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულების უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულების უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
4. მარწმუნებლები ვალდებულნი არიან გადაიხადონ დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.
5. დავალების შესასრულებლად მარწმუნებლები ვალდებულნი არიან რწმუნებულებს გადაუხადონ გასამრჯელო, რომლის რაოდენობა დგინდება მრწმუნებლებსა და რწმუნებულების ურთიერთ შეთანხმებით.
6. რწმუნებულები ვალდებულნი არიან რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელონ კეთილსინდისიერად და გულისხმიერად, მარწმუნებლებს მოაწოდონ ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ ჩააბარონ ანგარიში.
7. რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.
8. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის წინასწარი შტყობინებით. თუ რწმუნებულება მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებლები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, სხვადასხვაგვარად დაეცვათ მათი ინტერესები, რწმუნებულები ვალდებულნი არიან მარწმუნებლებს აუნაზღაურონ ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა როცა რწმუნებულებს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდათ.
9. რწმუნებულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **ნანა ბაკურაძის** სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მარწმუნებლებს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 20 ლარი, *(თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა)*, აგრეთვე დ.ღ.გ 3 ლარი და 60 თეთრი *(თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა)* და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი *(თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა)*: – სულ გადახდილია 25 ლარი და 60 თეთრი.

მარწმუნებლები:

მზია მაისურაძე _____

ნაირა ზარიძე _____

(ციალა ზარიძის რწმუნებული)

ნოტარიუსი _____ **ნანა ბაკურაძე**

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე
NOTARY NANA BAKURADZE
GEORGIA
01024030536


481700
4618500
4618600
481700
1:250
იობაშვილი
ცეკლა
პაპაშვილი
მუსერიძე-ჩხიკვაიძე
ლოთოკაშვილი-ჩხიკვაიძე
გონგაძე-ჩხიკვაძე